

## ვაკანსიის № 63960

პოზიციის დასახელება	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი
კონკურსის ტიპი	ღია კონკურსი
ორგანიზაცია	სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო
კატეგორია	მარკეტინგი
განცხადების ბოლო ვადა	21.04.2021
თანამდებობრივი სარგო	1600 ლარამდე
ადგილების რაოდენობა	1
სამსახურის ადგილმდებარეობა	თბილისი
სამუშაოს ტიპი	სრული განაკვეთი
გამოსაცდელი ვადა	3 თვე

### ფუნქციები

დეპარტამენტის მიერ დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულებაში მონაწილეობის მიღება;  
მარკეტინგისა და სარეკლამო აქტივობების (ATL და BTL) კონტროლის განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;  
მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;  
ღვინისა და სხვა ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების მოხმარების კვლევაში და შესაბამის ბაზრებზე მონიტორინგის განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;  
მარკეტინგული აქტივობების დაგეგმვა - ბიუჯეტირება, განხორციელებაში მონაწილეობის მიღება და პროცესის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშგება;  
ქართული ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელის პოპულარიზაციის მიზნებისთვის ბრენდირებული მასალის შემუშავება, სარეკლამო კამპანიის კონცეფციისა და მიმართულების განსაზღვრა;  
დეპარტამენტის ღონისძიებებისა და აქტივობების აღრიცხვასა და დაარქივებაში, ასევე იმ ყოველდღიური ლოჯისტიკის განხორციელებაში მონაწილეობის მიღება, რომელიც დაკავშირებულია სააგენტოს მარკეტინგულ ამოცანებსა და დეპარტამენტის სხვა საქმიანობასთან;  
დეპარტამენტის ხელმძღვანელის მითითებების შესრულება;  
საქმიანობის შესახებ დეპარტამენტის ხელმძღვანელისთვის პერიოდული ანგარიშის წარდგენა.

### მოთხოვნები

მინიმალური განათლება	ბაკალავრი
სამუშაო გამოცდილება	2 წელი

### საკონკურსო თემატიკა

საქართველოს კონსტიტუცია (I და II თავები); „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონი; საქართველოს შოკადი ადმინისტრაციული კოდექსი (III თავი); საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ღვინის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 17 აპრილის №2-67 ბრძანება.

### კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება	ცოდნის დონე
Microsoft Office Word	ძალიან კარგი
Microsoft Office Excel	ძალიან კარგი
Microsoft Office PowerPoint	ძალიან კარგი

Microsoft Office Outlook  
eDocument

ძალიან კარგი  
ძალიან კარგი

ენები

ენა ინგლისური	წერიტი უნარები B2	მეცხველება B2
------------------	----------------------	------------------

საკონტაქტო ინფორმაცია

საკონკურსო კომისიის მისამართი	მარშალ გელოვანის გამზ. 16, 0159 თბილისი.
საკონტაქტო ტელეფონები	032 297 41 03
საკონტაქტო პირი	მარიამ კალანდარია

დამატებითი მოთხოვნები

- გააჩნია 1 წლიანი სამუშაო გამოცდილება ადმინისტრაციულ ორგანოში.
- სავალდებულოა 1 წლიანი მუშაობის გამოცდილება ალკოჰოლური სასმელების მარკეტინგის მიმართულებით;
- სასურველია ფრანგული ენის ცოდნა;
- პიროვნული თვისებები და უნარ-ჩვევები:
- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
- კომუნიკაბელურობა;
- დროის ეფექტურად მართვის უნარი;
- გუნდურობა;

დამატებითი ინფორმაცია

აუცილებელია კანდიდატმა:

- განათლება კვალიფიკაციის გრაფაში ატვირთოს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- შესაბამის გრაფაში მიუთითოს მინიმუმ 1 რეკომენდატორი (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი, თანამდებობა და საკონტაქტო ინფორმაცია) და წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი.
- კონკურსანტი, რომლის მონაცემებიც არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, მათ შორის სავალდებულოდ ასატვირთი დოკუმენტების წარუდგენლობის ან/და ინფორმაციის არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში, ავტომატურად მოიხსნება კონკურსიდან. კონკურსის შედეგების, ასევე ჩატარების ზუსტი ადგილის, თარიღისა და დროის შესახებ კანდიდატებს ეცნობებათ დამატებით.
- სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობისა და სტრუქტურის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ გვერდს: [www.georgianwine.gov.ge](http://www.georgianwine.gov.ge)
- მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე მოსულმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

გადანწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

საკონკურსო კომისია გადანწყვეტილებას მიიღებს ქულათა სისტემით, განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა  
გასაუბრება

სავალდებულო ბლოკები

პირადი ინფორმაცია

სამუშაო გამოცდილება

განათლება კვალიფიკაცია

ფაილის ატვირთვა სავალდებულოა

ენები

კომპიუტერული პროგრამები, დაპროგრამების ენები, ოპერაციული სისტემები

რეკომენდატორები

სამოტივაციო წერილი